კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, ბელიაშვილის №40-ში მდებარე ორსართულიანი (სარდაფით) სასაწყობო, საოფისე-სავაჭრო შენობაზე ერთი სართულის დაშენებასთან დაკავშირებით

კონსტრუქტორი: თ. მაცაბერიძე

კონსტრუქტორი: გ. ცომაია

თბილისი 2015წ.

წარმოდგენილია ვიტრაჟის სახით, ხოლო ნაწილი კი შევსებულია მსუბუქი გაზობეტონის ბლოკებისაგან. მიღებული გადაწყვეტები სრულად პასუხობს შპს „შენობა-ნაგებობათა კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრის„ სპეციალისტების მიერ მომზადებულ დოკუმენტში მითითებულ რეკომენდაციებს.

ასევე შეფასებული იქნა დაშენებული სართულის გათვალისწინებით შენობის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის შესაბამისად, კონსტრუქციული პროექტზე დაყრდნობით, მზიდ კონსტრუქციათა სიხისტის, სიმტკიცისა და მდგრადობის პირობები, დაშენებამდე კონსტრუქციული პროექტის ავტორთან ერთად და შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ კონსტრუქციულ პროექტის მიხედვით დაშენებული სართული საფრთხეს არ უქმნის შენობის სიხისტის-სიმტკიცისა და მდგრადობის პირობებს, ზოგიერთ არსებულ მზიდ კონსტრუქციულ ელემენტში გარკვეული გადაწყვეტების მიღების შემდეგ, რომელიც ეფუძნება გარკვეულ კვლევებს და მუშავდება შესაბამის პროექტში.

კონსტრუქტორი: თ. მაცაბერიძე

კონსტრუქტორი: გ. ცომაია

კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, ბელიაშვილის №40-ში მდებარე ორსართულიანი (სარდაფით) სასაწყობო, საოფისე-სავაჭრო შენობაზე ერთი სართულის დაშენებასთან დაკავშირებით

არსებული ორ სართულიანი სასაწყობო, საოფისე-სავაჭრო შენობა მდებარეობს ქ. თბილისში, ბელიაშვილის №40-ში და გააჩნია ერთი მიწისქვეშა სარდაფის სართული.

შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა განაპირა ღერძებში ზომებით: 18,630მ; მაქსიმალური მალი შეადგენს L=6.20მ. სარდაფის სართულის სიმაღლე 3,6მ-ია. პირველი სართულის სიმაღლე 4,5მ-ია ხოლო მეორე სართულის კი-3,2მ.

შენობის მზიდი კარკასის მშენებლობა მიმდინარეობდა შპს ,,თერმარსენალის,, მიერ 2008 წელს დამუშავებული კონსტრუქციული ნახაზების მიხედვით (პროექტის ავტორი გ. ცომაია) არსებული შენობა წარმოადგენს კარკასული ტიპის მზიდ კონსტრუქციულ სისტემას რკინაბეტონის მზიდი ელემენტებით. კონსტრუქციული პროექტის მიხედვით შენობის მზიდ კონსტრუქციებში გამოყენებულია ბეტონი კლასით B22,5.

შენობა დაფუძნებულია მსხვილნატეხოვან კენჭნაროვან გრუნტზე ლენტური და წერტილოვანი საძირკვლების გამოყენებით. კენჭნაროვანი გრუნტის პირობითი საანგარიშო წინაღობა შეადგენს R_0=3,0კგძ/სმ^2.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მიხედვით დადგენილია, რომ სამშენებლო მოედანი განლაგებულია **8 ბალიანი** სეისმური საშიშროების ზონაში. გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

სამშენებლო უბანზე ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს - **60 კგძ/მ^2** (15 წლიანი განმეორებადობის პერიოდით), ხოლო თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა - **50 კგძ/მ^2** (14 დღე - თოვლის საფარის დღეთა რიცხვი).

დამუშავებული არქიტექტურული პროექტის მიხედვით განსაზღვრულია არსებულ ორ სართულიან შენობაზე ერთი სართულის დამატება, რისთვისაც 2015 წელს შპს **,,შენობა-ნაგებობათა კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრის,,** სპეციალისტების მიერ მომზადდა დოკუმენტი არსებული შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ მასზედ ერთი სართულის დაშენების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. მომზადებული დოკუმენტის დასკვნით ნაწილში რეკომენდაციის სახით აღნიშნულია, რომ დაშენება უნდა განხორციელდეს მსუბუქი კონსტრუქციებისაგან შესაბამისი გათვლების საფუძველზე.

დაშენების კონსტრუქციული პროექტის მიხედვით, რომელიც დამუშავდა შპს ,, არქდიზაინ ჯგუფის,, მიერ (კონსტრუქტორი თ. მაცაბერიძე) დამატებული სართულის მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენენ ლითონის ელემენტები. სახურვის მასალად კი გამოყენებულია სახურავის მსუბუქი სენდვიჩპანელები. რაც შეეხება დაშენებული სართულის გარე შემომფარგვლელ კონსტრუქციებს, ფასადის უმეტესი ნაწილი